№ 9 23 იანვარი, კვირა 1866—1877 23 იანვარი, კვირა № 9

**რედაქცია**

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ასატურის სახლებში. —

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით; ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

—

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროების“

## ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობისა.“)

პარიჟი, 31 (19) იანვარს. ჩერნიაევი ინგლისში წავიდა, საიდამაც მომავალ მარტში პარიჟში დაბრუნდება. რუსების კალონია პარიჟში ამ დროებისათვის იმას ბანკეტს (მეჯლისს) უმზადებენ. პარიჟიდამ ჩერნიაევი იტალიაში წავა. გუშინ (30 იანვარს) გრაფი შადორდი გავიდა სტამბოლიდამ.—

ზემლინი. 31 (19) იანვარს. პორტა თანხმაა, სერბიის statu quo (ომისწინათ-მდგომარეობა) დაცული იქნეს; მაგრამ თავისთვის კი გარანტიებს თხოულობს. ჯერჯერობით არ იციან თუ რაში მდგომარეობენ ეს გარანტიები.

ვენა, 1 თებერვალს (20 იანვარს). გაზეთი «პრესსა» ამბობს, რომ პორტა თხოულობს სერბიისაგან იმისთანა გარანტიებს, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მშვიდობიანობა დაცული იქმნეს. როგორც სჩანს, პორტას უნდაო, რომ მიჯმართოს ისევ იმ შვიდს მუხლს თავის მოთხოვნილებისას, რომელნიც მან წარსულ წელს, სექტემბერში გამოთქვა, მაგრამ რომელზედაც სტამბოლის კონფერენციამ ვარი სთქვა. სერბიას არა აქვს ნება, რომ ფორმალურად დანიშნოს თავის მხრით წარმომადგენლები, მშვიდობიანობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ამბობენ, რომ, ამ მოლაპარაკების დროს, პორტა განსაზღრულად გამოთქვამს თავის აზრს გარანტიების შესახებ.—

სტამბოლი, 1 თებერვალს (20 იანვარს). ჩერნოგორიის თავადმა მითჰად-ფაშის დეპეშაზე განაცხადა, რომ ის მზათ არის, პორტის წინადადებაების თანახმად, დაიწყოს მასთან მოლაპარაკება შერიგების თაობაზე და ამასთან ითხოვა ეცნობებიათ მისთვის ის საფუძვლები, რომელთაც იხელმძღვანელებენ ამ მოლაპარაკების დროს.

ვენა, 2 თებერვალს (21 იანვარს. გაზეთი «პრესსა» გვაცნობებს, რომ ახალიონ (?)-ეფენდის გარდუცია ჩერნოგორიის თავადისათვის, რომ პორტა თანახმაა შეამგრგვალოს, ანუ უკვეთ შამოსამძღროს ჩერნოგორიის სათავადოს სამფლობელო.

ლონდონი, 2 თებერვალს (21 იანვარს). გუშინ ჩერნიაევი ვეტნორში. მოვიდა დარჩება აქ ათი დღე.—

## საქართველო

### დღიური

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ თ. რაფიელ ერისთავი, მისივე ქართულათ ნათარგმნს და გალექსილს კრილოვის იგავ—არაკებს აბეჭდინებსო. ეს ნათარგმნი, თუმც ჩვენ ჯერ არ გვინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ ძიელ ადვილისა და წმინდა გასაგონი ქართული ენით არის ნათარგმნიო და მშვენიერათ გალექსულიო.

⁂ ვალარშაპადში (ეჩმიაძინში) რომ სომხური პედაგოგიური, ჟურნალი გამოდიოდა, „დაროცი“ („სასწავლებელი“), წრეულს მოისპო, რადგან მისი რედაკტორი სამზღვარ გარეთ წასულა.

⁂ ჩვენ გავიგეთ, რომ, ამას წინათ, სტამბოლში ერთი სომხური წიგნი: „ლენგ-თემურის გალაშქრება, საქართველოზე“ გამოსულა წიგნი, როგორც ამბობენ, ერთი სომხური არხიმანდრიტისაგან არის შეთხზულიო.

⁂ მუხრანიანთ ქუჩის მარცხნივ მხარეს, ვანქის ვიწრო ქუჩა, სწორეთ რომ ყურადღების მისაქცევია, რადგან გზა ძიელ ვიწროა, და აქეთ იქით ძველი ქოხებით, არის შემოშენებული, რომელნიც ზოგი დაქცეულებია და ზოგს საშინლათ გადაზნექიათ კედლები; ქუჩის აქეთ იქით ნათხარებია, საიდამაც სამაგალი სული ამოდის, რადგან ყველაფერს უწმინდურებას შიგ ყრიან. ამ ქუჩაზე გამვლელს ყოველს ნაბიჯზე უნდა ეშინოდეს, რომ ან ტალახში არ ჩავარდეს, და ან ძველი შენობები არ დაემგვრეს თავზე. ტალახი აქ თავი დღეში არა შრება, რადგან ამ ქუჩითვე მეთულუხჩებს წყალი აქვთ. საჭიროა ვისიც ვალია, ამ შენიშვნას ყურადღება მიაქციოს.

⁂ ჩვენ შემოგვჩივლა ერთმა დედაკაცმა, რომ წმინდა გიორგის (ქაშუეთისა) ეკლესიის მარცხენა კედელი, საძირკვლიდამ მოყოლებული გუმბათამდინ გახეთქილიაო და, რომელსაც შუადღისა ზარბაზანს ისვრიან, მთელი ეკლესია საშიშრათ ზანზარებსო. ამ რამდენიმე კვირის წინათ, წირვის დროსა, ამ ეკლესიაშიდვე აგური ჩამოვარდნილა და დასცემია ერთს ქალს თავში.

ჩვენ ძიელ გვიკვირს, რომ ამისთანა საქმეებს ჩვენი სასულიერო მართებლობა ყურადღებას არ აქცევს.

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ გუნიბის მეიდანზე, პანარამების წინ, ერთს მეწაღესათვის ჯიბის ოსტატებს ფული ამოუცლიათ ჯიბიდამ. მეწაღეს იქვე დაუჭერია ქურდი, მაგრამ ფული კი ველარ უპოვნიათ. ციტახნის შემდეგ მოგროვილან რამდენიმე ჯიბის ოსტატები, დახვევიან ამ მეწაღეს, და უცემნიათ—ქურდობა, როგორ შეგვწამეო...

⁂ ჩვენი იკრილი გლეხი-კორრესპონდენტისაგან შემდეგი წერილი მოგვივიდა გაზეთში დასაბეჭდათ, რომელზედაც—იმედი გვაქვს, ვისიც რიგია, ყურადღებას მიაქცევს.

„გთხოვ, შენი ჭირიმე, უფ. რედაკტორო თქვენ პატივცემულ გაზეთში ეს ორი სიტყვა დამიბეჭდოთ და თუ პასუხსაც მომცემთ, ერთი სიტყვით ჩემი გულის მალამოთ გაიქცევით. იმას მოგახსენებთ, რომ ამ ერთი კვირის წინ (არ კი აღარ მახსოვს რა დღე იყო და ან რა კარგია, შენი ჭირიმე, რომ კაცმა უბედური დღე დაიხსომოს და ვაის ვაი მიემატოს), მე და რამოდენიმე სხვა გლეხები ურმის ქარავნით მივდიოდით ქალაქში და დახე იმ ტიალ ბედსა! რო იტყვიან, „თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო“, მე სწორეთ ისე მომივიდა; ვაზიანის ფოშტას რო გავსცილდით, ერთ ჩემისთანა უბედურ კაცს გამოჰქცეოდა ხარი და თითონ კი მოსდევდა და გვეძახოდა: „კაცო დაიჭი ხარი, დაიჭითო.“ ჩვენ გადმოვხტით ურმებიდგან და წინ გადაუდექით, მაგრამ

## ფელეტონი

### რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან

(ივლიანე ურონტის ნაანბობი 1840 წელში)

II

თქვენს მტერს მისთანა, მე რომ საჯახი საქმე დამემართა.... რომ ჩამოველ თბილ ქალაქში, ბატონო, ჯერ ხომ ერთმა წუწკმა ვაჭარმა სამასხაროთ ამიგდო.... მერე მომიკვდა თქვენი მოსაწონი ლაფშა, გამომელია ფარებიც და დავრჩი ისთე უმოწყალოთ, რავარც უდაბნოში ბერი.... ვიფიქრე აწი რავა ვქნა-თქვა?.. ჩემი მაჭახელა ქე მქონდა, ღვთიწყალობა გაქვს, მარა, რავა შეველიო?... გამოველ ბაზარში ეგების ნაცნობს შევეყარო-თქმა.... აჰ!... არ გაგიწყრეს ღმერთი!... ვის ნახავ?.. სულ მთლათ გაბერილი, მსხვილ-მსხვილი ქართველები დადიან და იმათ ასე ვერიდებოდი, როგორც თათარი ღორის ხორცს!... ერთს მოვკარ თვალი.... ჩვენებურათ ქე ვიცანი.... და მივაშურე.... მარა იმ ოჯახ დასაფსობმა, არ ვიცი კოტრობა შემაჩნია, თუ რავა იყო, ამარიდა პირი და გაუდგა გზას, გეზელი ქორივით.... ვე!... წახდა ჩემი საქმე თქვა, ვთქვი!... ალარაფელი მეშველება ... უნდა შეველიო მაჭახელას... თოფი იმისთანა ქე იყო, რომ ერთ ყაზახათ ღირდა.... გევიტანე ერთს კვირა დღეს მეიდანზე.... „პარასკეობასავით“ ცოდნიათ.... გევიდე მხარზედ და—ქე ვარ აგერ ჩემთვის.... ვიფიქრე ასს კაკალ მანათს დავათვლევინებ-თქვა.... მიდის, მოდის ჯარი; ამიარეს, ჩამომიარეს, მარა, შენ არ მოუკვდე ჩემს თავს, ყურიც არავინ გააბარტყუნა!... ბოლოს, რავარცაა, მოვიდა ერთი მსხვილი ვაჭარი და შეგვექნა მუსაიფობა:

— „მაგას ჰყიდი?“

— ჰი, ბატონო,-თქვა!

— „მაშ წამოდი ჩვენსა, გავჩხრიკოთ.

მიამა, შენ ნუ მომიკვდები!.... გაჭირვებული ვიყავ—და წავედით.... ვიარეთ, ვიარეთ.... ის წინ მიდის და მე უკან მივსდევ.... გამაროვნია მთელი ქალაქი და ამიყვანა, საცლა მაღლა, კორტოხზე.... იქ ყოფილა თურმე მისი დასაქცევი სახლი.... ისთე დეიღალა ის უბედური, რომ ერთი ალაბი ენა წამოაგდო.... დავსხედით და დევისვენეთ.... ვიფიქრე: აწი დამითვლის ჭრელ-ჭრელი მანათებს-თქვა და წავალ ჩემთვის-თქვა.. ბოლოს ასე მკითხა იმ გაბერილმა:

— „ეს ჩემო ძმაო, თოფიაა?“ მე გავშტერდი.... იმე, ვიფიქრე აგერ ჩემთვის: ქე რავა მკითხავს-თქვა?.... და პირ იქით ვკითხე: „სწორეთ ლაპარიკობ, მასხარობ-თქვა? იმან მითხრა:

— „სამასხარო რა მაქვსო?. მაგას რო ჰყიდი: თოფია, თუ დამბაჩაო?!.“

— „გედირიე თუ?! ეს ჩემმა მტერმა-თქვა! მევაჭრები და ის კი არ იცი, თოფია, თუ ფიშტოი?... ამ დროს აკი გამომართო ხელში ჩემი მაჭახელა იმ დედა გაგლეჯილმა.... მიაბრუნა, მოაბრუნა, მითითა კონდახისკენ და მკითხა „წამალი აქედან უნდა ჩაიყაროს, თუ აქედამ?!—და ამ დროს, თითი კი ჩამიყო თოფის ტუჩში!!.. აწი კი მივხვდი, ეჰ, რომ მემასხრებოდა ის, დედა-გაგლეჯილი!....—ვუი, წავხდი-თქვა! ერთი კი შევსძახე და გამოვსტაცე მაშინათვე მაჭახელა ხელიდან!... ვკარ კონდახი იმ გასივებულ მუცელში, გადავაგორე, ვინცლა იყო ზვინივით და დავტრაკე ღალმისკენ!...

ამისთანა საჯახო საქმე მიქნა იმ დედა გაგლეჯილმა, აპა!...

თ. რ. ერისთვის

მაინც გაგვექცა, ჩემ საუბედუროთ. ამ დროს იქ შაგვესწრო ნ. ნ.. ის ჩემი ცოდით სავსე ... ქიდგან მოაჭენებდა დროშკას. რო მოგვიახლოვდა და ყენა დროშკა გადმოხტა და დაგვიბრახუნა ფეხები: „რატომ ხარი არ დაიჭირეთ თქვე ძაღლო-მამაძაღლებო?“ მე უთხარ, შენი ჭირიმე: „რაქნა კაცო ჩვენ რაც შეგვეძლო ვეცადეთ, მაგრამ რო ვერ დავიჭირეთ-მეთქი.“ ვის ეძახი “კაცოსო“ შე მამაძაღლოო დამიძახა და ისეთი გაბრიალებული მომვარდა, როგორც არწივი მივარდეს ერთ პატარა ფრინველსა და ... ბევრი დამაკლო: ის დალოცვილი მომდგა იმ საქმეში გამოცდილი ხელით და სულ ტყავი გამაძრო ამ კუზიან ზურგზედ. მერმე შემაბრუნა იქავ სტანციაში და, შეხე იმის მოგონებას, ცოდო-მადლს და ქრისტიანობას, კიდეც დამამწყვდია და-მინამ სტანციის ურადნიკმა ჩემი თხელი და გახვრეტილი ჯიბიდგან საარაყო ფული არ ამოიღო, არ გამიშო.

* *

ძლივს-ღა გვიდგა შენი ჭირიმე, სული, ქრისტიანები არა ხართ? ხაზინას არ ვემსახურებით იმთენს, ჩემო ბატონო, რამდენსაც ასას: ჩამოივლის მათრახიანი ჩაფრებით და ერთ სოფელში ეტყვის: თქვენ ამთონი და ამთონი ნედოიმკა გაქლიათ და წარმოადგინეთო; მეორე სოფელში იტყვის: თქვენ წარმოადგინეთ ოცი კოდი სულადი ან პური, ან ქერი თქვენი მაღაზიიდგანაო, მესამეს ეტყვის— ოცი ურემი ბზეო და ამას სულ ჩავეზიდებით იმის სახლში, თითქო ხაზინა იყოს. თუ კი ორგულობა შაამჩნია ან მამასახლისს, ან სუდიეებს და ან გლეხებს, შენი მტერი რომ იმათ დააწყებინებს წივილ-კივილს ხოლმე. მე ასე გამიგონია კანონით ახლა ალარავის შაუძლიან ცემაო, და ეს კი ესე თავისუფლათ ერეკება.

იტყვიან: „კაცი კაცის წამალიაო“ და, თუ ეს მართალია, შენც მე წამლათ გადამექეცი და მეც გადავიხდი სიკეთეს: მთა მთას ვერ მოხვდება, თორემ კაცი კაცს კი მოხვდება.

ივრელი გლეხი იაკობ ელ—შვილი

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. მერეთი, 20 იანვარს. ჩვენგანი, ყოველივე რამ ახალს, რაღაც ახტაცებით მოელის და ესევე ითქმის ახალ წელიწადზედაც. ყველა ჩვენი ცხოვრების ნაკლულოვანება და გაჭირება გაუმჯობესდება, მაგრამ რას იზამთ, ერთხელვე შეჩვეული სენი თითქო გაუკურნებლივ რჩება, მეტადრე ჩვენი სოფლის ხალხში ყოველივე სენი ძრიელ მაგრა იდგამს ძირს და ძნელ აღმოუფრხველ საგნათ რჩება. მაგალითებრ, შეეხვდით გლეხკაცს, ჩვეულებრივ გამარჯობის შემდეგ, თუ კიდევ ბაასი გააგრძელეთ, ის მაშინათვე მოგიყვებათ თავის ცხოვრებაში გაჭირების საგნებს: რავქნა შენი ჭირიმე? ჩვენ გლეხ-კაცნი. რომელ ერთს გაუძლვეთ: ღმერთს, ხატს, მებატონეს, მღვდელს, მოვალეს თუ სხვას; ახლა კიდევ ავანტყოფობაა, სიკვდილია, სიცოცხლეა და სხვა მოულოდნელი შემთხვევები და აბა, შენი ჭირიმე, ყოველივეს წესიერი გაძლოლა უნდა.

აი ამისთანებს და სხვა ბევრს გაიგონებთ გლეხ-კაცის პირისაგან და, ყოველივე საგნის გამოკვლევაში თუ შეხვალთ, მაშინ იტყვით, აბა, ვინა ჰყავს გლეხ-კაცს გულის შემატკივარი და დამრიგებელი! ჩემის ჰაზრით, რასაკვირველია ყოველივე გლეხ-კაცის დატირებაში მღვდელს, როგორათაც სულიერ მამას და, უფრო განათლებულს, ვალად ჰსდევს ყოველივე შემთხვევაში დაეხმაროს და ჭეშმარიტი საშუალება უჩვენოს, მაგრამ, ვაი, რომ ჩვენდა საუბედუროთ გლეხკაცმა დიდი ხანია გული აჰყარა ამათ მინდობაზედაც. ზოგიერთმა სულიერმა მამებმა საკმაოთ მაგალითები აჩვენეს ჩვენს ხალხს, რომლითაც მათ რწმუნება დაეკარგათ და თან-და-თან არამც თუ ძველი ცოდვები გაისწორონ, არამედ თანდათან უფრო ახალ საშუალებას ეძებენ, რომ სხვა და სხვა გაიძვერულ ოსტატობით ჰყვლიფონ ხალხი. აი მაგალითათ, ერთს საინტერესო მღვდლის ოსტატობას აგიწერთ; ამას წინათ ჩვენ სოფელში საშობაოთ მღვდელმა ჩვეულებისამებრ დაუარა თვითეულ კომლს, შემდგომ უგალობდა თუ არა საჭირო ძილის პირს, ართმევდა: ქათმებს, კვერცხებს და ღვინოს და კიდეც ეტყოდა: „აბა შვილო, ხუთი კარგი წმინდა პური მოიტა, ვაკურთხოთ“ რასაკვირველია, რომ ბევრს წმინდა პურიც არა ჰქონდათ და სულიერი მამის მჭადების კურთხევაზედაც თანახმა იყო „რავუყოთ შვილო ეგეც პურია“; მღვდლის სამებრ ორი პური სახლის პატრონს რჩებოდა, სამი თვითონ მიქონდა. აბა რაღა თქმა უნდა, რომ მთელ საპალნეობით ატარებდა კარის კარს და ოჯახსაც საკმაოთ გაავსებდა: პურით, ღვინით, მჭადით, ქათმით და კვერცხებით.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ქათმის, კვერცხის და ღვინოს მიცემას უფრო წინათ შეაჩვიეს ხალხი, მაგრამ რადგანაც საკმაოთ არ დაუნახავთ ახლა პურების კურთხევაც შემოიღო, ამ ჩვენმა მღვდელმა უფ. ი. ა.

ეს კიდევ არაფერი. ბრალი იმ ოჯახისა, თუ ვისმეს ფეხი გადუბრუნდა: იმდენათ მკვდრის დაკლება არა აქვთ საზრუნველი როგორათაც მღვდლის, მთავრის, დიაკვნების და მნათეების გაძღოლა, რომელთაც, თუ კი გაიგეს სადმე ამგვარი შემთხვევა, როგორათაც საქორწილოთ ლოთი მაყრები, ისე მიუხარიანთ და მთელი შვიდი დღე ველარ იშორებს იმათ სახლიდამ; აბა რასაკვირველია, რომ თუ ყოველთვის ცოტაც არის არ შეზარხოშდნენ, როგორ მოშორდებიან.

რა ეს, რა სხვა, ზოგიერთის მღვდლის მოქმედებას ისე შეეჩვია ჩვენი თვალი და ყური, რომ გასაკვირველათ არ მიგვაჩნია და ვნახოთ როდის ეღირსება ის დღე ჩვენ ხალხს, რომ მღვდელს თავის გადაჭრილი ჯამაგირი ჰქონდეს და ეს მრევლსა და მღვდელს შუა დაუბოლოებული უკმაყოფილება მოისპოს.

ელიაზარ ფურცელაძე

T. S. ამასთანავე ქრისტიშობისთვეშია იყო მერეთიდამ „დროებაში“ კორესპონდენცია სახელდობრ ზეკუციაზე და სხვაზედ. ამაზედ უფ. ანტონ ფურცელაძემ გამოაცხადა, რომ ეს კორესპონდენცია მე არ მეკუთნისო; ამის შემდგომ, რომ ეს გამოსცხადდა, მერე სხვას დააბრალეს; ეხლა — ვისაც სურდა რომ გაეგო, ვსთხოვ, იქონოს პირი და პირი ჩემთან საქმე.

ე. ფ.

# რუსეთი

გაზეთს „რუსის ქვეყანაში“ დაბეჭდილია შემდეგი „ანგარიშები რუსეთის სათათრეთთან.“ — „ამ სახელმწიფოების შუა შვიდჯერ იყო ომი: პირველი 1694—1701 წ., მეორე 1735—1739 წ., მესამე—1768—1774 წ., მეოთხე—1787—1791 წ., მეხუთე—1806—1812 წ., მეექვსე—1828-1829 წ., მეშვიდე—1853-1856 წ.,. პირველი ომიდგან ე. ი. 1694 წ. უკანასკნელამდი ე. ი. 1856 წ. გაიარა 162 წელიწადმა და მაშასადამე, ანგარიშით გამოდის, რომ ყოველ 23 წლის განმავალობაში უთუოთ მოხდება ერთხელ ომი! ეხლანდელი გარემოება ნათლად ამტკიცებს ამ დასკვნას. ამ 162 წლის განმავალობაში რუსეთს 30 წელზე მეტი უომნია თათრებთან. თუ ამასთან კიდევ მივუმატებთ მტრულ დამოკიდებულებას სათათრესთან, გამოჩნდება, რომ უკმაყოფილოთ ვართ ერთმანერთზე თითქმის 40 წ.!

ამ გვარათ ყოველ ხუთ წლოვან მშვიდობიანობის შემდეგ რუსეთს ერთის წლის განმავალობაში ყოველთვის ჰქონიათ ომი თათრებთან და მტრულათ ჰხვდებოდნენ ერთმანერთს ყოველ ოთხის წლის შემდეგ.

საინტერესოა აგრეთვე ზღვაზედ ომი თათრებთან.

ჩესმართან ომი — —1770 წ. 24 ივნ.
ქერჩის გადასადინარ. 1790 წ. 8 ივლ.
ხაჯიბესთან (ოდ.) 1790 წ. 28 და 29
ქალიაკრისთან — —1791 წ. 31 ივლ.
დარდანელში — —1807 წ. 10 მაისს
ლემნოსთან — —1827 წ. 8 ოკტ.
სინოპთან — — —1853 წ. 18 ნოემ.

ამასთანავე რუსები ერთობ აჩქარდნენ დარდანელში და დაიგვიანეს სინოპთან, თორემ თუ ისინი დროების გარემოებას მიჰყოლოდენ, აგრე არ დარჩებოდნენ, მაგრამ მაშინ კი თათრებს ეხმარებოდენ, ნაცვლად მისა, რომ თათრები დაამარცხონ“.

პირველად რუსეთმა გაიმარჯვა 1798 წ., როცა თათრებთან შეკავშირებით საფრანგეთს იონიის კუნ-

---

## ორიოდე დღე ბორჯომში

(მგზავრის შენიშვნები)

ჯერ მხოლოდ ეს სახელი „ბორჯომი“ საკმაოა მკითხველისთვის, რომ წარმოიდგინოს ბუნებისგან მდიდრათ შემკობილი და კაცის ხელოვნებით გამშვენებული, ეს ქვეყნიერი სამოთხე, რომელსაცა არამც თუ ჩვენი საქართველოს სხვა ქალაქები შევადაროთ, არამედ ბევრს ევროპიის გამოჩენილ ქალაქსაც სჭარბობს თავის ქკლუცობით. ეჭვი არ უნდა, რომ ყველას უნახამს ან გაუგონია ბორჯომის მშვენიერება, მაგრამ, რადგანაც დღითი დღე შენდება და მშვენდება, ამიტომ მე მხოლოდ მსურს გაკვრით მოვიხსენიო იმის ზოგიერთა გარეგანი შეხედულობა და ცვლილებანი. .!

ბორჯომის შესავალსათანავე, მტკვრის მარცხნივ კიდეზე, ყველაზედ უწინ რასაკვირველია მიიზიდამს, კაცის თვალს საზაფხულოდ მშვენივრად მორთული! და შემკობილი დიდი მთავრისც კავკასიის ნამესტნიკის სახლე. შემდეგ, მარჯვნივ გაჰხედამთ მაღალ სერზედ კოპწიათ დართულ რამდენიმე ეტაჟიან საზაფხულო სახლებს, ერთი ერთმანეთზედ ულამაზესს, თითქო მათი მეპატრონენი ურთიერთის ჯიბრზე იდგნენ: „არა, მე უნდა დავამშვენო და არა შენაო!“ ამავე სერზედ, ამ შენობათა შორის, მიიზიდავს კაცის თვალს ახლად აშენებული სამხედრო კაზარმა, რომლის მსგავსიც არა მგონია ჩვენ მხარეში კიდევ სადმე იპოებოდეს: რაღაც სულ სხვანაირი მშვენიერი არხიტექტურისა, აცალი კბილებიანი კოშკით და ამაყად დასცქერის ბორჯომის არე მარეს!

სადღა შეხვდებით ან მარჯვნივ და ან მარცხნივ იმ უწინდელ ქოხომოხოებს, რომელნიც სრულებით არ ეთანხმებოდნენ ამდენ აღუწერელ მშვენიერებას. დღეს იმათ ნაცვლად თვალწინ გიდგასთ მშვენიერი თუ მხატვრობითი და თუ საუკეთესო არხიტექტურითი რამდენიმე ეტაჟიანი სახლები. ახლა კიდევ წარმოიდგინეთ მტკვრის მარჯვნივ პირად ახლად აშენებული თლილის ქვით მშვენიერი კიდე და მარცხნივ ახლად გაყვანილი ფაეტონის გზა და ძველი ხის ხიდის ნაცვლად ახლად აშენებული, მშვენივრათ მორთული, თავსა და ბოლოს წყვილ-წყვილ ფანრებით ... რკინის ხიდი, რომელიც 70,000 მანეთზე მეტი დამჯდარა. ამ ზემო აღწერილ მშვენიერებათა შუა ჩამომდინარეობს ვერცხლის სხივ მსროლი და მობუტბუტე, სარკესავებრ მტკვარი. რომ შევბაასოდი ბევრს კარგს მეტყოდა, მაგრამ ვერ შევბედე—ვაი თუ სწყენოდა!...

... ამას ყოველსათანავე ახლა გაისეირეთ შავწყლის ხეობისკენ, სადაც სამკურნალო აბანოები იმყოფება და ბალი, მთელ ხეობაში გაჭიმული, შვიდ ვერსზედ მეტი, და—რამდენსაც სერს გარდუხვევთ იმდენი თვალწინ იცვლება ბუნების სიმშვენიერე. მართალია იანვარში ამ გვარ ბუნების ქება უადგილოა, მაგრამ რადგანაც მე ზაფხულობითაც მრავალჯერ მინახავს, ამიტომ შედარებით ვიტყვი, რომ კაცის თვალი ეხლაც აღტაცებით დასტკბება.

საითაც მიიხედამთ ბუნება ათას ფერად გელანდებათ და გიჭრელებსთ თვალს: იქ მაღალ ტიტველა კლდიან მთას ხედამთ, იქ დაბურული ტყით შემოსილ და თეთრად კინწეროში გაკირჩხლულს, იქ მწვანეთ მორეულ ნაძვის ხეებს, და ახლა ამას დაუმატეთ მოწმენდილი ლაჟვარდოვანიცა და მშვენიერი ტაროსი. ერთის სიტყვით ამის ყოვლის მცქერი უცბათ შეგაფიქრებსთ და იტყვით: „არა აქ უეჭველია ერთი რამ ბრძოლა უნდა იყვესო: უთოოთ ბუნებას კაცი შეჰჯიბრებია და ჯობნას უქადისსო!...

ამ ყოველივე ცხოველ სურათების ცქერით და სიამომვნებით რო დასტკბებით, ბოლოს უცბათ რაღაც წარსული, მკვდარი სურათი მიიზიდამს თქვენს გრძნობას. ეს გახლამთ მრავალ წარსულის მოწამე ბოგიას— ციხე თავის მოპირდაპირე პეტრე — ციხით, რომელშიაც, როგორც გვაუწყებს ლეგენდა, ცხოვრებდენნ ორ-

ძულები წაერთვა. მეორეჯერ რუსეთმა იხსნა სათათრეთი 1833 წ. მეჰმედ-ალი მეგვიპტელისაგან.

## უცხო ქვეყნები

**ოსმალეთი.** Nord-ში იწერებიან 20 იან. რომ სირიის მაჰმადიანები ერთობ ცუდს განწყობილებას აჩენენ სათათრეთის მმართებლობის წინ; თვითოეული ოსმალი განურჩევლად სულთანის ბრძანების ძალით ვალდებულია იარაღით გამოვიდეს, თუ გარემოება ამას მოითხოვს, მაგრამ სირიელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ რამ ნაირათ თავი დააღწიონ ამ ბრძანებას. ეს უსურველობა იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთ ალაგებში წინააღმდეგობაც გაუწიეს მმართებლობას. მთის მაზრის ანსარის რედიფები სამსახურს დაეთხოვენ და თუმცა მმართებლობამ შეგონების შემდეგ იარაღიც იხმარა, მაგრამ ხეირიანი შედეგი მაინც არ მოუხდენია-რა. დამასკში და ბეირუთში ყველა მაჰმადიანი, ვისაც რამე შეძლება აქვს 50 ლივრით ან წყვილი ცხენით იცილებენ თავიდამ ამ განკარგულებას. ჯერ ჯერობით მართებლობა იძულებულია ამასაც დათანხმდეს.

— თათრების ჯარები ყოველ დღე ემატება ყარსის და აზრუმის გარემოს. ამ ჟამათ 25 ბათალიონი მოვიდა ტრაპიზონში და ზემო მოყვანილი სიმაგრეებისკენ განემგზავრენ. თვინიერ თესალიისა და ეპირიის მაჰმადიანებისა ყველანი ომიანობის მოსურნენი არიან.

— სტამბოლში ამ ჟამათ იკრიბებიან ურიცხვი პოლიაკები და ვენგრიელები, რომ თათრის სამხედრო სამსახურში შევიდნენ. ამჟამათ ისინი სკუტარში არიან დაბინავებულნი და გენერალი კლაპკა მათგან ერთი ლეგიონის შედგენას აპირებს.

— პეშტში დემონსტაცია მოახდინეს იმ დეპუტაციის საპატივსაცემოთ, რომელიც კოშუტთან იყო გაგზავნილი, მაგრამ ხალხის მხიარულება პოლიციამ დაარღვია.

**საფრანგეთი.** სტამბოლის კონფერენციის შესახებ ტიერმა წარმოსთქვა, რომ „ევროპის ქცევა სათათრეთთან იძულებულ ყოფს მითჰად-ფაშას იხმაროს ყოველი ღონისძიება, რომ აღთქმული პირობა სისრულეში მოიყვანოს. მითჰად-ფაშა ისეთის ხასიათის არის, რომ, რაც რეფორმები საჭიროა სათათრეთისთვის, მოახდენს. სათათრეთის ყველა პოლიტიკური მომქმედნი, რომელთანაც კი მე ლაპარაკი მქონია ამ უკანასკნელ დროებში, იმ აზრის არიან, რომ აღადგინონ თავის რეპუტაცია ევროპის თვალში და არ ასიამოვნონ მტრებს. მე ვგონებ, რომ არა თუ მარტო ქრისტიანების, არამედ ყველა ქვეშევრდომების მდგომარეობა გაუმჯობესდება სათათრეთში. დასასრულ ტიერმა წარმოსთქვა, ის აზრი, რომ საფრანგეთი არასოდეს არ საჭიროებდა მშვიდობიანობაში ისე, როგორც ეხლა."

## ბიბლიოგრაფია

**„ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია** „შედგენილი მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილისაგან იმ გვარ პროგრამით, როგორითაც იმას ასწავლიან ოთხკლასიან სასწავლებლებში. გამოცემა პირველი. თფილისი 1876.

დიდი ხანი არის, რაც მამა დიმიტრი ჯანაშვილის ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია გამოვიდა და კიდეც ისყიდება. გამოცემა შეიძლება ყველაფერი ცუდმადისა (?); მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. სულ სხვა რამეა გამოცემა სასარგებლო და კარგი წიგნისა. ეს თუ ასეა, მაშ ნუ დავიშურებთ ორიოდე შენიშვნას მოხსენებული ისტორიისათვისაც, რომ შევადგინოთ მაზედ ჯეროვანი ჰაზრი

ეს ძველი აღთქმის ისტორია შეიცავს მრავალ კარგ მხარეთა, მაგრამ ცუდებსაც არ არის აცილებული. ჯერ მის კარგს მხარეებზედ ვსთქვათ რამე.

მამა ჯანაშვილის საღმრთო ისტორია თავისი პედაგოგიური ღირსებებით პირველი სასწავლებელი წიგნია ჩვენს—პედაგოგიურ ლიტერატურაში საღმრთო წერილიდგან. ის განსხვავდება საუკეთესო პედაგოგიურ ღირსებებით ფაქტების გონივრული გამორჩევითა, მოსაზრებული განმარტებითა და სისტემატიკური განწყობილებითა. ენის სიადვილეზე, სიწმინდეზე და ცხოველობაზე ხომ ბევრი ლაპარაკი აღარ დაგვჭირდება,— ეს თითქმის მის (?) ჩვეულებრივი ბუნების საკუთრებას შეადგენს. მაგრამ ამ საღმრთო ისტორიაში თუ რამე მოგვეწონა,—რომ მისი ავტორი ფაქტების და ნამდვილის მოვლინებების აღწერით მათ მოპირდაპირე დოგმატების და ჩვეულებების ჰაზრზე ახვედრებს. ავიღოთ მაგალ. თუნდ ის, თუ როგორა ხსნის ის თავის საღმრთო ისტორიაში კაცის სულის უფლის ხატებისა და მსგავსებისა მებრ შექმნასა: „მზიან დღეს წყალში რომ ჩავიხედოთ, დავინახავთ, რა მშვენიერად წყალში მზე ბრწყინავს. ამ დროს კაცი წყალში, არამც თუ მარტო მზის სხივებსა ხედავს, არამედ თვითონ მზესაცა, ასე რომ ერთს წყალში ხედავს, მეორეს ცაში—წყალში მყოფი არის სახე ცის კამარაზე მყოფი მზისა. წყალში მყოფი მზე ცოტაოდენად მიემსგავსება მართალს მზეს: ის ისეთივე მრგვალია და ბრჭყინვარეა, როგორათაც ცაში მყოფი; მაგრამ წყალში გამოსახულის სხივები უფრო სუსტნი არიან, ვიდრე ცაში მყოფი ნამდვილი მზისა: ამისათვის წყალში გამოსახულს ჩვენ თვალს ადვილად გაუმართავთ, ცაში მყოფს კი სრულიად სწორედ ვერ შევხედავთ, ამისათვის რომ თვალებსა სჩხვლეტს. აი ამ სახით არის კაცის სული უფლის ხატების მსგავსი."

ყველა ამ თვისებების გამო დიმ. ჯანაშვილის ისტორია ძრიელ საჭირო და სასარგებლო იქნება, რომ იხმარებოდეს იმ ოთხკლასიან სასწავლებლებში, რომლების პროგრამითაც არის ის შედგენილი. ეს ისტორია მოსწავლეებს ძალიან ბევრში მოეხმარება სოკოლოვის რუსული საღმრთო ისტორიის სწავლის დროს, რადგანაც ეს ჯერ ერთი ქართულ ენაზეა დაწერილი და მეორეთ—იმათ, რომ ზოგიერთ შესახვედრებში, განსაკუთრებით, ადვილი და ცხოველი განწყობილების და სალუქობის მხრით, ეს ცოტა არ არის რომ კიდეც აღემატება სოკოლოვის სახელ-მძღვანელო ისტორიის წიგნსა; გარდა ამისა, ის აღემატება სოკოლოვის ისტორიას იმითიც, რომ იმაში განსაკუთრებითი ყურადღებაა მიქცეული საღმრთო შემთხვევების შინაგან მხარეზე; აგრეთვე საკმარისი ყურადღებაა მიქცეული კაცობრიობის ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან გამოხსნის ნელ-ნელად მომზადებაზე. წინასწარმეტყველებანი და მოსწავებანიც არიან იმაში მოყვანილნი და საკმაოდ ვრცლად არიან განმარტულნი. ზნეობითი იდეალები და გამომხატველი ხაზები ღვთისგან გამორჩეული ხალხის ცხოვრებისა და მისი მდგომარეობა ძველ წარმართების შუა ძალიან რიგიანად არიან დახსნილნი. საღმრთო წერილის წიგნებზე, მათ შინაარსზე და ხასიათზე საფუძვლიანათ აქვს მას ნათქვამი, მაშინ როდესაც ყველა ამას საკმაოდ მოკლებულია სოკოლოვის ისტორია.

მ. ჯანაშვილის ისტორია, ყოველ თავის ღირსებებთან, შეიცავს ზოგიერთა ნაკლულევანებებსაცა. პირველი და უმთავრესი მისი ნაკლულევანება მდგომარეობს იმაში, რომ მასში ჰფლობელობს პიროვანი ელემენტი. ის ხშირათ ცდილობს, რომ დაბადების მოთხრობა შეავსოს თავისი პიროვანი მსჯელობებითა, რომლებისთვისა დაბადებაში პირდაპირი საფუძველი არ არის. ამ გვარ პიროვან მსჯელობას იჩენს ის თავის ისტორიის პირველი ფურცლის დასაწყისიდგანვე, სადაც იწყება ბაასი დედამიწის გაკეთებაზე: „სახლი, რომელშიაც ჩვენა ვსცხოვრებთ, აშენებულია. მაშ სჩანს დედამიწაც, სადაც კაცი სცხოვრებს, გაკეთებულია, ანუ შექმნილია, ის შექმნა ღმერთმა."

როდესაც ამისთანა მსჯელობებს ეძლევა ავტორი, ის, ჩვენის ფიქრით, ვარდება უვარგის გონებით გრძნობებში და სხოლასტიკაში. რა საჭირო იყო მაგალ. ისა, რომ ავტორი უმატებს ისტორიაში ამ უადგილო გონებით გრძნობასა: „ისააკი 17 წლისა რომ შეიქმნა, ღმერთმა უთხრა: „აბრაამ აიღე დედის ერთა შვილი შენი ისააკი, რომელიც შენ გიყვარს, და წადი მორიაში და იქ ერთს მთაზე, რომელსაც მე შენ გიჩვენებ, შემომწირე მსხვერპლად." *„თუმც ძალიან გულსაკლავი იყო აბრაამისათვის ამ ბრძანების აღსრულება, მაგრამ რაღას იზამდა."*— უფრო აჯობებდა, რომ ამ გვარ უვარგის გონებით გრძნობის ნაცვლათ ავტორს მიექცია უმთავრესი ცდილობა საღმრთო ისტორიულ შემთხვევებზე, რადგანაც თვით შემთხვევები უფრო მოქმედობენ ყმაწვილებზე მოძღვრულად, ვიდრემდისინ მასწავლებლის მსჯელობა ამ შემთხვევებზე. ყოველივე მორალური ლალადებანი უფრო ასუსტებენ შთაბეჭდილებასა. ძალიინ სასარგებლოა, ზნეობით განჩინება შემთხვევებზე

---

ნი ძმანი, ერთმანეთის ჯიბრში ჩამდგარნი და ჩამტერებულნი. აქ ისინი ერთმანეთის ჯიბრით მგზავრებზედ ნადირობდენ და იმათი ცარცვა ყვლეფით შეექცეოდნენ: მრავალ ჯერ შეებრძოდენ ხოლმე და აყენებდენ შავ დღეს მოგვიანებულ მგზავრს ანუ ქარავანს და მეტადრე სომეხ—ვაჭარს. აგრეთვე მრავალ ჯერ გაილაშქრებდენ ხოლმე ეს ორი ძმა თავიანთ მხლებლებით და ყმებით და ერთმანეთზედ ბიჯობას იჩენდნენ და აკვირებდენ მთელ არე მარეს, თავიანთ გმირული ხასიათით. ბოლოს როგორც იყო ორთავ ძმანი დაათანხმეს შერიგებაზედ და ორივე თავის მხლებლებით შეიკრიბნენ შუამავლის სახლში. ძმანები ერმანეთს გარდაეხვივნენ და საუკუნედ ძმური სიყვარული და ერთგულება შეჰფიცეს, და ამ მტკიცე კავშირის ნიშნად დაუწყეს ჯიხვებს და აზარფეშებს ცრიალი. მაგრამ კახურმა ღვინომ ვერ გააგრილა მათი გულში აღგზნებული ურთიერთა შორის შურის ძიება. იქვე, ამ მორიგების დროს, რალაც უბრალო სიტყვაზე უცბათ შელაპარაკდნენ, ლაპარაკი ჩხუბათ გარდიქცა და ჩხუბმა ხანჯლებამდი მიატანა აქ ყველა მხლებლებმა თავიანთ მებატონეს მხარე დაიჭირეს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ სამოცამდე კაცი ერთათ მიწვა. მას აქეთაა ეს ციხე—დარბაზები უპატრონოთ ნახევრად მონგრეულნი არიან.

ამ გვარი გარდმონაცემები სუფევს ჯერეც ჩვენ ხალხში და რამდენათაა მართალი ეგ არ ვიცით, მხოლოდ ნამდვილი ისაა, რომ მეთექვსმეტე საუკუნომდე ბორჯომის არე მარეზე და გარემემო ტყეებში ცხოვრება დუღდა და მრავალი ხალხი იყო დასახლებული. ამას აგრეთვე ისიც ამტკიცებს, რომ გარდა მრავალ დანგრეულ ციხეებისა აღურიცხველ ეკკლესიებს შეხვდებით, რომელნიც ორასამდე (200-მდე) მეტი მოითვლებიან. ზოგი ამ ეკკლესიებთაგანი ჯერეც შეუმლელად და ამაყად სდგას მშვენიერი ვიზანტიურის მხატრობითი მორთულნი. უმეტესი ნაწილი ამ ეკკლესიებისა ეკუთვნის საქართველოს აღყვავებულ და ბედნიერ თამარ მეფის დროებას, რომელსაც მომატებულად ყველა მხარეზე ზემო ქართლი მოსწონდა და ახალციხის მახლობლათ, გარდა ამ ხსენებულ ეკკლესიებისა, ერთ უდიერ კლდეში გამოქვაბა სამეფო სასახლე სამას სამოცი (360) პალატებით და უწოდა სახელად *ვ ა რ ძ ი ა.* მსურველი ეხლაც ნახამს 'ამ საკვირველ შრომის ნაშთენთა, სადაც თითქმის ქვესკნელში შენახულა თითქმის შეუმლელად მშვენიერი და კარგი ზომიერი მონასტირი კედლებზე დამშვენებულ მხატრობით. ამ მხატრობათა შორის რომელნიც კი დროთა ბრუნვის გამო ძლივლა დარჩნენ ყველაზე უფრო შესანიშნავია თვით თამარ მეფის სურათი სრული ტანადობით და აქეთ იქიდამ დახატულნი მისი თანამედროვე გამოჩენილი და წარჩინებული კაცები, როგორათაც ყვარყვარე ათაბეგი და სხვ. თამარ მეფე ამ ვარძიაშივე გარდიცვალა 1212 წელსა და კიდეც ეტყობა მონასტრის გვერდზე მისი პირველი საფლავი, მაგრამ მრავალნი ამბობენ ე. ი. ქართლელები ამტკიცებენ თამარ მეფე ვარძიაში გარდიცვალა და ვარძიაშივე მარხიაო. კახელები ამის წინააღდეგ ამბობენ მისი ნამდვილი საფლავი ალვანის მონასტერშიაო. იმერლები კი უფრო ნამდვილათ იმას ამტკიცებენ რომ, თუმცა ვარძიაში გარდიცვალა მაგრამ გელათის მონასტერში გადმოვიტანეთ მისი გვამიო. *)

სვანები ხო სუყველას იმას უმტკიცებენ რომ ჩვენ წმინდა დედას ვის დავანებებდითო? იმის საფლავი სვანეთში იმყოფებაო.

მაინცა და მაინც რაღაც გამოუკვლეველათვე რჩება ის, თუ სად იმყოფება ამ საქართველოს ამაყად საგონებელი და სახელ განთქმული მეფის ნამდვილი საფლავი.

ილ. ალხაზაშვილი

*) თამარ მეფის საფლავი, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, გელათში არის. რედ.

ყმაწვილებს თითონ გამოყავდეთ თვით მოთხრობებიდგანა. ყმაწვილებმა თავიანთ თავათ უნდა შეიყვარონ კეთილი პირნი და მოიწადინონ სიძულვილი ბოროტებადმი. აქ მასწავლებლის ვალი მხოლოთ ის არის, რომ გზები უჩვენოს მოწაფეებსა.

ეჭვი არა გვაქვს, რომ ავტორს, რაც ზევით შევნიშნეთ, ყველა ეს ჩაყვანილი აქვს თავის სახელმძღვანელო წიგნში კარგი პედაგოგიური მოსაზრებების გამოისობით, რომ მოწაფეებს თავიანთ გონების გამოხატულებაში ცოცხლად და გონიერულად შეეძლოთ მიღება და შთანერგვა ბიბლიური ფაქტებისა. ეს ხერხი თუმცა მოსაწონია, მაგრამ მას მოსდევს თან ერთი საფრთხო მხარეცა. ეს საშიში მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მოწაფეები საღმრთო ისტორიის შესწავლის დროს აურ-დაურევენ ბიბლიურ ფაქტებს იმასთან, რაც სახელმძღვანელო წიგნის დამწერს თითონ მოუმატებია. იმათ ისე ეგონებათ, რომ ისე რაც თვით წიგნის დამწერს ჩაუმატებია ისტორიაში, დაბადებაშიაც სწორეთ ისრე იყოს აღწერილი. მაგრამ რას იტყვის ზოგიერთა მოსწავლეთაგანი მაშინ, როდესაც დაბადებას გადაათვალიერებს და ნახავს, რომ იმაში ისრე არ არიან ფაქტები აღწერილნი, როგორც სახელმძღვანელოშია? როდესაც ის გაიგებს, რომ მასწავლებელს ბიბლიურ ფაქტებისათვის ზოგი გამოუკლია, ზოგი მოუმატებია და ზოგიც თავისებურათ განუმარტნია და მათთვის მიუმატებია თავის განზრახვანი. მაშინ არ შეიძლება, რომ ჭაბუკში არ შეირყეს რწმუნება უმთავრესი საღმრთო ისტორიის ფაქტებისადმი. *) მაგრამ მ. ჯანაშვილს ამ განსაცდელის თავზე გადასავლებათ ის მოუხერხებია მოწაფეებისათვის, რომ ის სოკოლოვისავით ყოველ ისტორიულ პარაგრაფზევით არ აჩვენებს იმ წიგნების მუხლებსა და თავებსა, საიდგანაც იმ პარაგრაფებში აღწერილი ფაქტები არიან გამოკრეფილნი.

რომ უფრო უკეთ ავხსნათ, თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ პიროვან ელემენტთან, მოვიყვანთ იმ სახელმძღვანელოდგან ერთ იმისთანა ადგილსაცა, საიდგანაც უფრო ცხადათ გამოჰსჭვრეტს პიროვანი ელემენტი მაგალ. 41 გვერდზე ავტორი ასრე აღწერს აბრაამის მსხვერპლის შეწირვასა: „დილა ადრიანა შეკაზმა ვიტყვი, თან გაიყოლია თავისი ორი მონა და ისაკი. წაიღო შეშა მსხვერპლის დასაწველად და გასწია მორიას მთაზე. სამი დღე იმათ იარეს, მაგრამ ღმერთი არ ეცხადებოდა იმას და არ უჩვენებდა სამსხვერპლო ადგილსა. საშინელი გულის-წუხილი ეხვეოდა აბრაამის გულზე, სამ დღის განმავლობაში ისააკი იმის გულში მკვდარი იყო.

უკანასკნელნი ჩვენგნივ ხაზ გასმული სიტყვები ჩინებულად ნათლად ჰყოფენ იმ აბრაამის შინაგან ღვაწლის დიდებასა, რომლითაც ისააკის მსხვერპლის შეწირვა გარდა ცოცხალ მსგავსებათ ქრისტეს სხვერპლ შეწირვისა, მაგრამ, მაინც და მაინც, შეიძლება მოწაფეებმა, რომლებიც დაიწყობენ მ. ჯანაშვილის საღმრთო ისტორიის სწავლასა, ეს სიტყვები თვით დაბადებას მიაწერონ, მაშინ როდესაც ისინი თვითონ ავტორისაგან არიან მიმატებულნი დაბადების წერილის ნამდვილთან განსამარტებლად. *)

მამა ჯანაშვილის საღმრთო ისტორიის კიდევ ნაკლულევანებას შეადგენს ისა, რომ იმაში მოსწავლე შეხვდება ბევრ იმგვარ სიტყვებსა, რომლების მნიშვნელობასაც ის თითონ ვერ მიხვდება, თუ მასწავლებელმა არ აუხსნა. მგრეთი სიტყვები არიან: ტაკუკი, ფიქალი; ნადიმი, გაწბილებულებანი, წინწილი და სხ. და სხვ....

ამ გვარი სიტყვები, ეჭვი არ არის ბევრს დაუშლიან მასწავლებელს საღმრთო ისტორიის გაკვეთილების ახსნაში, ამიტომ რომ ის ამ სიტყვების ახსნას მოუნდება და საღმრთო ისტორიის გაკვეთილი კი გვერდზე დარჩება. თუ აუხსნელათ გაუშვა ისინი მასწავლებელმა, არც ეს იქნება, რადგანაც ის სიტყვები დაუშლიან მოსწავლეს მრთელ წინადადების ჰაზრის შეგნებას.

ბოლოს სიმართლით უნდა ვთქვათ, რომ ის ნაკლულოვანებანი, რომელნიც უკანასკნელათ არიან შენიშნულნი, ბევრათ თუ ცოტად, შეადგენენ საზოგადო ნაკლულევანებებსა სხვა საღმრთო ისტორიების სახელმძღვანელოებისასაც და, სხვათა შორის, ვხედავთ იმათ მ. ჯანაშვილის საღმრთო ისტორიაშიაც. თუმცა ამ ნაკლულოვანებების თავიდგან აცილება შეუძლიან ყველა მასწავლებელს, თუკი დაბადებასთან შედარებით ასწავლის, მაგრამ ამ გვარი სწავლება ძრიელ ბევრ დროს მოსთხოვს, როგორც მასწავლებელს ისე მოსწავლეთაც, და თითქმის ეს შემძლებელიც უნდა იყვეს ზოგი ერთა წიგნებით ღარიბ სასწავლებლებში.

ა. თქმელი

ქუთაისი
1877 წ. 18 იანვარს

*) რეცენზენტს შევნიშნავთ რომ რომელიმე ფაქტის განმარტება სრულებით არ ნიშნავს ფაქტის გამოცვლას ანუ გარდასხვაფერებას და ამის გაგება არც ისე ძნელია რომ მასწავლებელი, რომელსაც ცოტაოდენი მოსაზრება მაინც აქვს, შეცთომილებაში შეიყვანოს.

რედ.

*) აქ მამა ჯანაშვილის საპატიოთ უნდა ვსთქვათ ისა, რომ პიროვანი ელემენტი იმის საღმრთო ისტორიაში უფრო მცირედ ჰფლობელობს, ვინემ სოკოლოვისაში.

ავტ.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათვყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში— 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან

# განცხადებანი

LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
კანს ეკვრება და არა სჩანს.
შ. ფაი — გამომგონი
pommade satin
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156—99

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.
ბ) ოდესიდამ:
ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასადილ. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 9 იანვარს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7\frac{1}{2}$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 83 | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეც. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 18 იანვარს | | |
| პური შოტრაგალის ფთ. | 1 | 35 |
| ქერი ფუთი. . . . | 1 | — |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 70 |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 65 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 65 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. . | 7 | — |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Января 1877 г. Типографія Меликова и Kº. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.